ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**გ-29. 29250154**
თარიღი:**15/01/2025**

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის, მე-4 ნაწილის, მე-19 მუხლის ,,ბ,, ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მეორე ნაწილისა და ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 04 დეკემბრის N18 დადგენილების შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

მუხლი 1. დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამა'' თანდართული სახით.

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება ჩაბარდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 5 . განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი ჩაბარებიდან, ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, პირველი ჯგუფის უსინათლოთა

სოციალური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. **პროგრამის სახელწოდება:** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამა.
2. **პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი:** 15 იანვარი 2025 წელი – 31 დეკემბერი 2025 წელი.
3. **პროგრამის ბიუჯეტი:** 52 000(ორმოცდათორმეტი ათასი) ლარი.
4. **პროგრამის დაფინანსების წყარო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი.
5. **პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა:** 80 (ოთხმოცი) ლარი.
6. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და შედეგი

პროგრამის მიზანს წარმოადგენს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთათვის კომუნალური გადასახადების გადახდაში ხელშეწყობა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია

1. პროგრამით სარგებლობის უფლება აქვთ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მოქალაქეებს, რომლებიც პროგრამის ამოქმედების დროისათვის რეგისტრირებული არიან თერჯოლის მუნიციპალიტეტში და ამავდროულად არიან პირველი ჯგუფის უსინათლოები.

ბ) 18 წლამდე უსინათლო შშმ სტატუსის მქონე უსინათლო ბენეფიციარები.

მუხლი 4. სოციალური დახმარების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და წარდგენის წესი

1. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ფორმა №IV-50/4 (კომისიის დასკვნა) პირველი ჯგუფის უსინათლობის შესახებ, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან;

გ) განმცხადებლის ანგარიშის ნომერი ბანკიდან;

დ) არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში ორივე მშობლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, არასრულწლოვნის რეგისტრაციის ბარათი და დაბადების მოწმობის ასლი.

მუხლი 5. დაფინანსების ოდენობა და დაფინანსების წესი

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.
2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი